



ეკომიგრანტების განსახლება  
საქართველოში: განსახლების  
პოლიტიკაში მიმდინარე ცვლილებები,  
ტენდენციები, განხორციელება და  
აღქმები

ჯასტინ ლაილი

ECMI -ის სამუშაო მოხსენება #53

იანვარი 2012



უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრი (ECMI) არის არაკომერციული, არასამთავრობო ინსტიტუტი, რომელიც დაფუძნებულ იქნა 1996 წელს დანიის სამეფოს, გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის და შლეზვიგ-ჰოლშტაინის მთავრობების მიერ.

უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრი დაარსდა ქ. ფლენსბუგში, გერმანიისა და დანიის მოსაზღვრე რეგიონის შუა გულში; რათა ყურადღება მიექცოთ ამ ტერიტორიაზე არსებულ უმცირესობებისა და უმრავლესობის მშვიდობიანი თანაცხოვრების წარმატებულ მაგალითზე.

უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრის მიზანია, ხელი შეუწყოს მრავალდისციპლინარულ კვლევას იმ საკითხებზე, რომელიც ეხება უმცირესობებისა და უმრავლესობის ურთიერთობებს, ევროპული მიდგომების გათვალისწინებით. ამასთანავე, წვლილი შეიტანოს ინტერ-ეთნიკური ურთიერთობების გაუმჯობესებაში დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის იმ ნაწილში, სადაც ადგილი აქვს ეთნო-კონფლიქტებსა და დაპირისპირებებს.

ECMI-ის კვლევით ნაშრომზე მუშაობენ ECMI-ს თანამშრომლები და ცენტრის მიერ მოწვეული მკვლევარები. ECMI-ის მიერ გამოცემულ კვლევებში გამოხატულ აზრებზე პასუხისმგებელია ნაშრომის ავტორი.

### ECMI მოხსენება

უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრი (ECMI)

დირექტორი: დოქ. ტოვე ჰ. მალოი

© ECMI



# ეკომიგრანტების განსახლება საქართველოში: განსახლების პოლიტიკაში მიმდინარე ცვლილებები, ტენდენციები, განხორციელება და აღქმები

გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისიდან, კლიმატური ცვლილებების შედეგად საქართველოს მჭიდროდ დასახლებული მაღალმთიანი ტერიტორიებიდან მოსახლეობის მიგრაციის პროცესების გაუარესება იწყება, კერძოდ სვანეთისა და აჭარის რეგიონებიდან, სადაც სტიქიური უბედურებების გამო მაღალმთიანი მოსახლეობის როგორც საცხოვრებელ პირობებს, ასევე სპორტულ საშუალებებს არაერთი სერიოზული საფრთხე შეექმნა. ბოლო 30 წლის განმავლობაში, 10 ათასზე მეტი ადამიანი წყალდიდობის, მეწყერისა და ზეაერის შედეგად უსახლკაროდ დარჩა, თუმცა საქართველოში, ეგრეთ წოდებული, ეკოლოგიური მიზეზებით გადაადგილებული პირების, ანუ ეკო-მიგრანტების პრობლემები და საჭიროებები, კვლავაც ყურადღების მიღმა რჩება.

ჯასტინ ლაილი, იანვარი 2012  
ECMI -ის სამუშაო მოხსენება #54

## I. შესავალი

საქართველოს სხვადასხვა სამთავრობო უწყება არაერთხელ შეეცადა, საპასუხო ღონისძიებები გაეტარებინა საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში მომხდარი სტიქიური უბედურებების შედეგების აღმოსაფხვრელად როგორც 1980-იან წლებში საბჭოთა რეჟიმის, ასევე დღევანდელი მმართველობის დროს. მიგრანტების ახალ ადგილებში ჩასახლების პროცესები გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისსა და შუა პერიოდში, საკმაოდ ორგანიზებული ფორმით ხორციელდებოდა. 80-იანი წლების ბოლოს საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში იმატა სტიქიური უბედურებების რაოდენობამ, რაც შექმნილ რთულ ვითარებაზე პასუხისმგებელი საბჭოთა სტრუქტურის ნგრევის პროცესებს დაემთხვა. ზვიად გამსახურდიას მთავრობამ ეკო-მიგრანტები დღის წესრიგში არსებული „დემოგრაფიული დაბალანსებისათვის“

საჭირო იარაღად გამოიყენა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ქვეყანაში ეკო-მიგრანტები უმცირესობებით დასახლებულ და სასახლურ რეგიონებში ჩასახლეს, რაც ამ რეგიონების „გაქართველებას“ ისახავდა მიზნად. ეღუარდ შევარდნაძის პერიოდში ეკო-მიგრანტების თემა საერთოდ იგნორირებულ იქნა. 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდგომ, სააკაშვილის მმართველობის პერიოდში, რამდენიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება განხორციელდა ეკო-მიგრანტების პრობლემების მოსაგვარებლად, თუმცა შესაბამისი რესურსების მქონე მდგრადი და თანმიმდევრული სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება ეკო-მიგრაციასთან მიმართებაში კვლავაც შორეულ პერსპექტივას წარმოადგენს. 2010 წლის ოქტომბრიდან 2011 წლის მარტამდე ჩატარებულ კვლევებსა და საველე სამუშაოებზე დაყრდნობით, მიმდინარე დოკუმენტის შესავალი ნაწილი ეთმობა ეკოლოგიური მიგრანტების პრობლემების მოგვარებისთვის საჭირო საერთაშორისო და შიდა კანონმდებლობის ასპექტების მოკლე



მიმოხილვას, რომლის შემდგომ ამ უკვე აქტუალურ სფეროში ჰუმანიტარული ეგიდით სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შეზღუდული მასშტაბებით გატარებული ღონისძიებების მოკლე შეჯამებაა მოცემული. ამ საკითხების შემდეგ დოკუმენტში განიხილება ყველა ის მიდგომა თუ ძალისხმევა, რაც გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან „ვარდების რევოლუციამდე“ სახელმწიფოს მიერ იქნა გატარებული, რასაც მიხედს სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში წარმოდგენილი ინიციატივების დეტალური განხილვა მოსდევს. აღნიშნული ანგარიში, ეყრდნობა რა უმცირესობების საკითხთა ევროპული ცენტრის ( ჩ II) მიერ ეკოლოგიური მიგრაციის შესახებ 2007 წელს მომზადებულ დეტალურ მონოგრაფიას, განიხილავს ყველა პროცედურას, რაც ეკო-მიგრანტების განსახლების პროცესების შეფასებას შეეხება. აღნიშნული საკითხების შემდგომ ანგარიშში განიხილება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსა და შესაბამის დაქვემდებარებულ უწყებებთან ფუნქციები, ასევე აჭარის რეგიონის ხულოს რაიონის მუნიციპალური მმართველობის, როგორც ადგილობრივ დონეზე პასუხისმგებელი უწყების მაგალითი. ანგარიშის შემდეგი ნაწილი ეთმობა ეკო-მიგრანტების აჭარის რეგიონიდან საქართველოს სხვა რეგიონებში: შიდა ქართლში, სამცხე-ჯავახეთსა და კახეთში – განსახლების პროცესებს, როგორც ცალკეული შემთხვევების აღწერას. კვლევა მოიცავს თვისებრივი ინტერვიუებს, რომლებიც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიგრაციის, რეპარტიაციისა და ლტოლვილთა საკითხების დეპარტრამენტის ორ თანამშრომელსა და ანგარიშში აღწერილი ცალკეული შემთხვევების განსახლების არეალში

სახელმწიფოს მიერ ჩასახლებული კომლების 5-10 წარმომადგენელთან ჩატარდა. აღნიშნულ ეკო-მიგრანტებს ჩაუტარდათ ინტერვიუები აჭარის რეგიონის ხულოს რაიონში, ასევე ქვემო-ქართლის რეგიონის მარნეულის რაიონში, სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ნინოწმინდის რაიონსა და კახეთის რეგიონის ლაგოდეხისა და ახმეტის რაიონებში. ინტერვიუების დროს გამოკითხულებს დაესვათ შეკითხვები სახელმწიფოს დახმარებით განსახლების პროცესების მიმდინარეობაზე - სტიქიური მოვლენების დაწყებიდან ჩასახლების საბოლოო დასრულებამდე, ასევე ახალ საცხოვრებელ რაიონებში მკვირდი მოსახლეობის მათ მიმართ დამოკიდებულებაზე.

ჩასახლების თითოეული შემთხვევა ნათლად ასახავს ქვეყნის განსახლების პოლიტიკას მოქმედებაში მის თანამდევ პრობლემებთან ერთად. ანგარიშის ბოლო ნაწილში მოცემულია რეკომენდაციები პოლიტიკის შემუშავებისთვის როგორც უახლოესი მომავლის, ასევე გრძელვადიანი პერსპექტივისთვის საქართველოში ეკო-მიგრანტების განსახლების პროცესების გაუმჯობესების მიზნით.

## II. იურიდიული და ოპერაციული კონტექსტი

*ეკოლოგიური მიგრანტები საერთაშორისო და შიდა კანონმდებლობაში*

გაერთიანებული ერების ლტოლვილთა სააგენტო (UNHCR) განასხვავებს ეკოლოგიურ მიგრანტებს ლტოლვილებისაგან იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ სხვებისგან განსხვავებით – „ეკოლოგიური პირობების გამო გადაადგილებულ პირს“, როგორც წესი, საკუთარი სახელმწიფოს მხრიდან დახმარების იმედი აქვს. რადგანაც ეკო-მიგრანტები, ჩვეულებრივ, საკუთარი ქვეყნის საზღვრებს შიგნით რჩებიან სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის ნაცვლად, - საერთაშორისო კანონმდებლობაში ეს უკანასკნელი ლტოლვილის სტატუსის მინიჭებისთვის მთავარ კრიტერიუმს

<sup>1</sup> ტ. ტრიერი და მ. ტურაშვილი: *ეკოლოგიური მიზეზებით ადგილნაცვალ პირთა განსახლება: არსებული პრობლემის გადაწყვეტა- თუ ახლის შექმნა? ეკო-მიგრაცია საქართველოში 1981-2006. მონოგრაფია №6, Flensburg: ECMI, 2007 წლის აგვისტო, <[http://www.ecmcaucasus.org/upload/publications/monograph\\_6\\_en.pdf](http://www.ecmcaucasus.org/upload/publications/monograph_6_en.pdf)>.*



წარმოადგენს – ეკო-მიგრანტებს იძულებით გადაადგილებულ პირებთან აჯგუფებენ.

მართლაც, 1998 წელს იძულებით გადაადგილებულ პირთა საკითხებში გაეროს გენერალური მდივნის წარმომადგენლის მიერ შემოთავაზებულ სახელმძღვანელო პრინციპებში იძულებით გადაადგილების შესახებ, რომელიც ნორმატიულ ხასიათს ატარებს და არ გახლავთ იურიდიულად სავალდებულო, მოცემულია იძულებით გადაადგილებულ პირთა განმარტება, რაც სტიქიური უბედურებების შედეგად დაზარალებულ პირებსაც მოიცავს:

(...) იძულებით გადაადგილებულ პირებად ითვლებიან ის პირები ან პირთა ჯგუფები, რომლებიც გამოძევებულ იქნენ ან იძულებულნი გახდნენ, დაეტოვებინათ თავიანთი სახლი ან მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, რათა გაქცეოდნენ შეიარაღებულ კონფლიქტს, საყოველთაო ძალადობას, ადამიანის უფლებათა ხელყოფასა და სტიქიურ ან ადამიანის მიერ შექმნის კატასტროფებს და, ამასთან, არ გადაუკვეთიათ საერთაშორისოდ აღიარებული სახელმწიფო საზღვარი.<sup>2</sup>

ეს ყოველივე ნათლად შემტკვევლებს იმაზე, რომ ეკოლოგიური მიზეზებით გადაადგილებულთა საკითხი საერთაშორისო ნორმატიული ჩარჩოს ნაწილს წარმოადგენს, რომელიც ზოგადად იძულებით გადაადგილებულ პირთა საკითხებს არეგულირებს, თუმცა საქართველოს შიდა კანონმდებლობა არ მიიჩნევს სტიქიურ უბედურებებს საკმარის საფუძვლად იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მინიჭებისათვის,<sup>3</sup> რაც ეკოლოგიურ მიგრანტებს ქართული ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად დაცვის მექანიზმის გარეშე ტოვებს. შესაბამისად ამ ტიპის იურიდიული სტატუსის არარსებობა სახელმწიფოს არ აკისრებს არანაირ პასუხისმგებლობას იგივენაირი

დახმარება გაუწიოს ეკო-მიგრანტებს, როგორც იძულებით გადაადგილებულ პირებს. საჭირო ხდება კანონმდებლობაში ამ ხარვეზის აღმოფხვრა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოში ეკო-მიგრანტების დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელია ქვეყნის მოქმედ კანონმდებლობაში იძულებით გადაადგილებულ პირთა უფრო ფართო განმარტების ჩამოყალიბება (1998 წლის გაეროს სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად), რათა მასში შევიდეს სტიქიური უბედურებები, როგორც კრიტერიუმები იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მისაღებად. ალტერნატივის სახით კი, შესაძლოა, შეიქმნას და ამოქმედდეს ახალი კანონი ექსკლუზიურად ეკო-მიგრანტების საკითხების რეგულირებისთვის.

### *საერთაშორისო აქტორები და ეკოლოგიური მიზეზებით გამოწვეული გადაადგილება*

საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორცაა გაეროს ლტოლვილთა სააგენტო UNHCR, დღეისათვის უშუალოდ არ არიან ჩართულნი ეკო-მიგრანტების საკითხების მოგვარებაში. ამ კონკრეტული მომენტისათვის UNHCR-ის მანდატი ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებული პირების მიმართ, სტიქიური მოვლენების შედეგად გადაადგილებულ პირებს არ ითვალისწინებს. თუმცა UNHCR ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებაზე გარემოსა და ეკოლოგიური პირობების გაველენის საკითხებს საკმაო ყურადღებას უთმობს და, რაც ყველაზე მთავარია, ეკოლოგიური მიზეზებით გამოწვეული გადაადგილება მათ სამომავლო საქმიანობის სფეროდ აქვთ მიჩნეული.<sup>4</sup>

დღესდღეობით საქართველოში ეკოლოგიურ მიგრაციას ძალიან მცირე ყურადღება ეთმობა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მხრიდან, მათ შორის, ისეთი

<sup>2</sup> იხილეთ იძულებით გადაადგილების სახელმძღვანელო პრინციპების სრული ტექსტი შემდეგ ვებ-გვერდზე: [http://www.brookings.edu/fp/projects/idp/resources/GPE\\_english.pdf](http://www.brookings.edu/fp/projects/idp/resources/GPE_english.pdf).

<sup>3</sup> იხილეთ კანონი <http://www.unhcr.org/home/RSDLEGAL/44ab85324.pdf>.

<sup>4</sup> UNHCR პოლიტიკის ანგარიში: კლიმატური ცვლილებები, სტიქიური უბედურებები და ადამიანთა გადაადგილება: UNHCR-ის ხედვა, გარემო პირობები, 2009 წლის 14 აგვისტო, <http://www.unhcr.org/4901e81a4.html>.





მსხვილი დონორების მხრიდანაც, როგორცაა ევროკავშირი და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო – USAID. დღეისათვის მხოლოდ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო და რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია მუშაობს ეკოლოგიური მიგრაციის საკითხებზე საქართველოში.

80-იანი წლების ბოლოს საბჭოთა სახელმწიფო სტრუქტურის ნგრევასთან ერთად ეკო-მიგრანტებისთვის აღმოსაჩენი დახმარებისა და მათთვის მიწის ნაკვეთების განაწილების სფერო კორუფციამ მოიცვა. 1989 წლის აპრილში 5,657 ოჯახი (24,287 ადამიანი) აჭარის რეგიონიდან გადმოსახლეს ზემოდჩამოთვლილ რეგიონებში, სადაც გეგმის მიხედვით 17 რაიონში 5 ათასი სახლი უნდა აშენებულიყო, მაგრამ საბოლოოდ მხოლოდ 3 ათასი აშენდა.<sup>7</sup>

### III. ეკო-მიგრანტების განსახლება და სამთავრობო პროგრამები საქართველოში

#### განსახლებები საბჭოთა პერიოდში

გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა კავშირის მიერ ეკო-მიგრანტების განსახლება შედარებით ორგანიზებული ფორმით ხორციელდებოდა, მათი მოვარებისთვის საჭირო და საკმარისი რესურსების გამოყენებით. 1981-დან 1990 წლამდე ეკო-მიგრანტების უმრავლესობა ჩასახლეს საქართველოს უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში: სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში, სადაც ჩასახლებულთა რაოდენობამ მთლიანობაში დაახლოებით 3 ათასი ოჯახი შეადგინა.<sup>5</sup> 1981 წლიდან 1983 წლამდე აჭარის რეგიონიდან დაახლოებით 1,010 ოჯახი ჩასახლეს როგორც კახეთის, ასევე სამეგრელოს, სამცხე-ჯავახეთისა და შიდა ქართლის რეგიონებში.<sup>6</sup> 1987 წლის გაუსაძლისი ზამთრის გამო, მთიანი სვანეთის რეგიონიდან 16 ათასი ადამიანის ევაკუაცია განხორციელდა, საიდანაც 2,500 ადამიანი სხვადასხვა ადგილებში იქნა გადაყვანილი.

#### დამოუკიდებლობიდან „ვარდების რევოლუციამდე“

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, დამოუკიდებლობის მიღების პირველი დღეებიდანვე, ეკო-მიგრანტების ჩასახლება ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტების მოგვარების საშუალებად იქნა მიჩნეული, რამაც სრულად მოიცვა 90-იანი წლების საქართველო. საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას რეჟიმის პერიოდში ეთნიკურად ქართველ ეკო-მიგრანტებს ხშირად უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ასახლებდნენ, როგორცაა აფხაზეთი, ქვემო ქართლი და სამცხე-ჯავახეთი, რაც აღნიშნული რეგიონების „გაქართველებას“ ისახავდა მიზნად. სახელმწიფო აქტორების მსგავსად გაგლენიანმა პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა, როგორცაა ნაციონალისტურად განწყობილი „კოსტავას ფონდი“ და „რუსთაველის საზოგადოება“, შეისყიდეს უმცირესობების მიერ მიტოვებული სახლები, რაც შემდგომში ეთნიკურად ქართველ ეკო-მიგრანტებს ურიგდებოდათ. ურთიერთობა ახლად ჩასახლებულ ეკო-მიგრანტებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის ხშირად უკიდურესად იძაბებოდა, რაც საბოლოოდ, მიღებული სახლების გაყიდვით ან მიტოვებით და ეკო-მიგრანტების საკუთარ მშობლიურ რეგიონებში დაბრუნებით მთავრდებოდა.

ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის პერიოდში, საქართველოში აღნიშნული

<sup>5</sup> ტ. ტრეერი და მ. ტურაშვილი: *ეკოლოგიური მიზეზებით ადგილნაცვალ პირთა განსახლება*, ცხრილები 2 და 3, გვ. 61-62. ეკო-მიგრანტების რიცხოვნობა თითოეულ სოფელში ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის მუნიციპალიტეტების მიერ ჩატარებული ოფიციალური რეგისტრაციის მონაცემების მიხედვით, 2005-2006.

<sup>6</sup> თამაზ ფუტკარაძე, *აჭარის მოსახლეობის მიგრაციის...* გვ. 72, ციტირებულია ECMI-ის მონოგრაფია №6 -ში, გვ. 9.

<sup>7</sup> ლაურა ნიჟარაძე, *სვანების მიგრაცია და მისი...*, გვ. 13-17, ციტირებულია ECMI-ის მონოგრაფია №6 -ში, გვ. 9.



საკითხი სრულად იგნორირებულ იქნა. 1992-1998 წლებში საქართველოში განხორციელებული სასოფლო-სამეურნეო მიწების პრივატიზაციის პროცესის დროს ეკო-მიგრანტებმა დანარჩენ მკვიდრ მოსახლეობასთან თანაბარი პირობებით მიიღეს მიწის ნაკვეთები. შევარდნაძის ადმინისტრაციის მიერ 1997-2002 წლების განმავლობაში სახლების შესყიდვაზე გამოყოფილი თანხები უკიდურესი კორუფციის წყაროდ იქცა. 1998 წელს დადგენილებით ეკო-მიგრანტების შესახებ პირველად განისაზღვრა ეკო-მიგრაციის მონიტორინგის პროცედურები, თუმცა ეკოლოგიური მიგრაციის ტენდენციების პირველად მონიტორინგ არავითარი ქმედითი ღონისძიებები არ მოჰყოლია.

*განსახლებები სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში*

„ვარდების რევოლუციამ“ მიხეილ სააკაშვილი მოიყვანა სახელმწიფოს სათავეში, რის შემდგომ 2004 წელს ეკო-მიგრაციასთან მიმართებაში სხვადასხვა ტიპის ახალი ინიციატივების განხორციელებას ჩაეყარა საფუძველი. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ შეკრიბა შეფასების მონაცემები მაღალმთიან რეგიონებში სახლების მდგომარეობის შესახებ და 2004 წელს სახელმწიფოს მიერ შემუშავებულ იქნა რამდენიმე ახალი ინიციატივა ეკო-მიგრანტების სახლებით უზრუნველყოფის შესახებ. 2004 წლის ივნისში, პრეზიდენტის ბრძანებულების შესაბამისად, ეთნიკურ ქართველ ეკო-მიგრანტებსა და მკვიდრ ეთნიკურ სომეხ მოსახლეობას შორის არსებული დაძაბულობის დარღვევების მიზნით შეიქმნა წალკის, ახალციხისა და ნინოწმინდის რაიონებში მცხოვრები ეკო-მიგრანტების პროცესების მარეგულირებელი კომისია. კომისიის მიზანი იყო ეკო-მიგრაციის იურიდიულ ჩარჩოში მოთავსება და განსახლებების მიმართ ახალი მიდგომების შემუშავება, თუმცა ამ ყოველივეს არანაირი პრაქტიკული გამოხატულება არ მოჰყოლია.

2005 წელს საქართველომ რატიფიცირება მოახდინა ევროსაბჭოს ჩარჩო კონვენციისა

ეროვნული უმცირესობების დაცვის თაობაზე, სადაც, მე-16 მუხლის თანახმად, იკრძალება ნებისმიერი ქმედება, რომელიც დემოგრაფიულ დისბალანსს გამოიწვევს ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში.

2006 წლის მარტში დაიწყო პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავდა სტიქიური უბედურებების შედეგად დაზარალებული და სახელმწიფოს მხრიდან მყისიერი დახმარების მოლოდინში მყოფი ოჯახების მონაცემთა ბაზის შექმნას. ასევე დაინერგა ეკო-მიგრანტების საკომპენსაციო დახმარების შეფასების სისტემა, რაც გეოლოგების მიერ მომზადებულ დასკვნებს ეფუძნებოდა შემდეგი შეფასების კრიტერიუმების მიხედვით:

1. დანგრეული სახლი
2. დაზიანებული სახლი
3. დაზიანებული სახლი, რომელიც აღდგენას ექვემდებარება
4. მხოლოდ მიწის ნაკვეთია დაზიანებული სახლის გარშემო

მხოლოდ ის პირები, ვინც აღნიშნული ჩამონათვალის 1 კატეგორიაში ხვდებოდნენ, ექვემდებარებოდნენ სახელმწიფო განსახლებას.

2006 წლის ზაფხულში სამინისტრომ წალკის რაიონში აჭარელი ეკო-მიგრანტების სახლების მდგომარეობა შეისწავლა. ჩამოყალიბდა მონიტორინგის ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ როგორც სამინისტროს, ასევე ადგილობრივი ადმინისტრაციისა და წალკის რაიონის მკვიდრი მაცხოვრებლების წარმომადგენლები.

მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილის მთავრობის მიერ გადადგმული გარკვეული ნაბიჯები ნათელი გამოვლინებაა მთავრობის მისწრაფებისა ეკო-მიგრაციის სფეროში პოზიტიური ცვლილებების მოხდენის თვალსაზრისით, აღნიშნული ძალისხმევები მხოლოდ სპორისებურ ხასიათს ატარებს და არ ხდება მათი კომპლექსურსა და კარგად დაფინანსებულ სახელმწიფო პოლიტიკაში ინტეგრირება.

**IV. მიმდინარე განსახლების პროცესებისთვის საჭირო რესურსების შეფასება**



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ოფიციალურ წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუების მიხედვით, 2004 წლიდან 2011 წლამდე მთლიანობაში 1,064 ოჯახმა მიიღო სახელმწიფო დახმარება ახალ ადგილებში ჩასახლების უზრუნველყოფით და დღევანდელი მდგომარეობით განსახლების მოლოდინში 37 ათასი ოჯახი არის დარეგისტრირებული, მათ შორის 11 ათასი ოჯახი შეფასების 1 და მე-2 კატეგორიებს მიეკუთვნება (სასწრაფო განსახლების საჭიროება).<sup>8</sup> აჭარაში არსებულ ეკოლოგიურ პრობლემებს მრავალი სხვა ფაქტორიც ემატება, კერძოდ კი, მოსახლეობის სწრაფი ზრდა და მიწის სიმცირე. მრავალშვილიანი (ძირითადად, მუსლიმი) ოჯახების მზარდი მოთხოვნილებები ტყეების გაჩეხვას იწვევს, რის შედეგადაც იზრდება მაღალმთიანი და ციცაბო მიწის ნაკვეთების სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიხედვით მოხმარების ინტენსივობაც, ეს ყოველივე კი სტიქიური უბედურებების საფრთხეს ზრდის. გრძელვადიან პერსპექტივაში აჭარის რეგიონში მიწების სიმცირე წარმოქმნის „დემოგრაფიული მიგრანტების“ ტალღას, კერძოდ კი, ხულოსა და შუახევის რაიონებიდან ბარის მიმართულებით. ამ დრომდე სახელმწიფოს მხრიდან სახლების შესყიდვის პროცესი კვლავაც ნელა მიმდინარეობს და ახალ ჩასახლებებთან დაკავშირებული ყველა ის საჭიროება თუ პრობლემა, რომლებიც აჭარისა და სვანეთის რეგიონებში 2005 წელს არსებული სტიქიური უბედურებების შედეგად გაჩნდა, კვლავაც გადაუჭრელია.

ეკო-მიგრანტების განსახლების როგორც მიმდინარე, ასევე მომავალში არსებულ საჭიროებათა ზუსტი რაოდენობრივი ჩამონათვალის მომზადება მეტად რთულ ამოცანას წარმოადგენს შეფასებების პროცესში არსებული ხარვეზების გამო. კერძოდ კი, განსახლების დროს ყველა პრობლემისა თუ საჭიროების შეფასება

მხოლოდ ვიზუალური დათვალიერებით ხდება, რაც წესით გეოლოგიურ და ექპერტის მიერ მომზადებული ანალიზის დასკვნებს უნდა ეფუძნებოდეს. ზოგიერთ რეგიონში საკმაო ცდომილებები არსებობს გეოლოგიის მიერ მოზადებულ დასკვნებსა და იმ შეფასებებს შორის, რომლებსაც სამინისტროს პერსონალი ამზადებს. ამ ტიპის უზუსტობების აღმოსაფხვრელად მცხეთა-მთიანეთის რეგიონის დუშეთის რაონის სოფელ ვეცკათხევში ხორციელდება განსახლების დროს აუცილებელ მოთხოვნილებათა შეფასების საპილოტო პროექტი. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ უზრუნველყო სხვადასხვა პასუხისმგებლობათა დელეგირება რაიონული ადმინისტრაციისათვის პირველადი განაცხადებისა და შესაბამისი ხასიათის გეოლოგიური ანგარიშების მომზადების კუთხით. ამ პროგრამის მხარდამჭერებს მიაჩნიათ, რომ აღნიშნული პროცედურული მოდელის წარმატების შემთხვევაში იგი აუცილებლად დაინერგება სტიქიით დაზარალებულ სხვა სოფლებშიც, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩატარებული შეფასებები დანარჩენ რეგიონებშიც არასახარბიელო შედეგებს გამოიღებს.

### V. ოფიციალური პროცესი

#### *საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო*

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიგრაციის, რეპარტაციისა და ლტოლვილთა დეპარტამენტის პასუხისმგებელ პირებთან 2011 წლის მარტსა და თებერვალში ჩატარებული ინტერვიუების თანახმად ირკვევა, რომ ეკო-მიგრანტების ჩასახლების საკითხებზე ექსკლუზიურად 5-კაციანი ჯგუფი

<sup>8</sup> ინტერვიუ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს თანამშრომელთან, 2011 წლის მარტი.





მუშაობს (განსახლების განყოფილება)<sup>9</sup>. ერთი თანამშრომელი ცხოვრობს ჯავახეთში, რომელიც პასუხსმგებელია სახლების შესყიდვაზე, ამავე დროს იგი საკონტაქტო პირის მოვალეობასაც ასრულებს იმ მიგრანტებისთვის, ვინც ამ ტერიტორიებსა და მეზობელ წალკის რაიონშია ჩასახლებული. დანარჩენი 4 თანამშრომელი თბილისშია განთავსებული, საიდანაც მათ ხშირად უწევთ განსახლების ტერიტორიების მონახულება.

2004 წლიდან 2009 წლამდე გარკვეული სახელმწიფო თანხები გამოიყოფოდა ეკოლოგიური მიგრანტების განსახლებისათვის სახლებისა და მიწის ნაკვეთების შესაძენად. ჩატარებული ინტერვიუების მიხედვით ირკვევა, რომ 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში დაახლოებით 1 მილიონი ლარი (420,000 ევრო) იყო გათვალისწინებული ეკო-მიგრანტების საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფისათვის, ხოლო 2010 და 2011 წლების ბიუჯეტში ამ მიმართულებით თანხები საერთოდ არ გამოყოფილა. სამინისტროს თანამშრომლების განმარტებით, სახელმწიფო დახმარების მიმღები ყველა ბენეფიციარი დაკმაყოფილებულ იქნა საცხოვრებელი სახლითა და სულ მცირე 0,5 ჰექტარი მიწის ნაკვეთით. განსახლების განყოფილების უფროსის განმარტებით,<sup>10</sup> სამინისტროს მიერ ეკო-მიგრანტებისთვის სახლების შესყიდვა, მისი თანამდებობაზე ყოფნის დროს (2006 წლიდან) წლების მიხედვით რაოდენობრივად შემდეგნაირად გამოიხატა:

2006 - 216 სახლი
2007 - 187 სახლი
2008 - 44 სახლი
2009 - 127 სახლი
2010 - შესყიდვის გარეშე (ბიუჯეტის უქონლობა)
2011 - შესყიდვის გარეშე (ბიუჯეტის უქონლობა)

ის პროცედურები, რომლებსაც სამინისტრო ასრულებს პირველადი

განაცხადების მიღებიდან განსახლების დასრულების ბოლო ფაზამდე, მუდმივად იცვლება თითოეული ადგილისათვის დამახასიათებელი პირობებისა და შესაძლებლობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია ამ პროცესის მოკლე მონახაზი, ისე როგორც მას სამინისტროს თანამშრომლები აღწერენ.

*თანმიმდევრობითი პროცესი – დახმარების მოთხოვნიდან განსახლებამდე*

- სტიქიური უბედურებების შედეგად დაზარალებული პირები ამის შესახებ პირველ რიგში ატყობინებენ ადგილობრივ მუნიციპალურ მთავრობას ან პირდაპირ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს;
- ადგილობრივი მთავრობების პრეროგატივას წარმოადგენს ინდივიდუალურ მოთხოვნილებათა შეფასების მომზადება ზემოთ აღწერილი დაზარალების 4-კატეგორიანი სისტემის შესაბამისად. ის ოჯახები, ვინც 1-სა და მე-2 კატეგორიაში გადიან (სახლები, რომლებიც სრულადაა დანგრეული ან არ ექვემდებარება აღდგენას), როგორც წესი, განსახლებასა და საცხოვრებელით უზრუნველყოფას საჭიროებენ, თუმცა მათთვის გამოყოფილი დახმარების მოცულობას მოცემულ მომენტში არსებული რესურსები განაპირობებენ;
- ადგილობრივი მთავრობები ვალდებული არიან სამინისტროს გააცნონ აღნიშნული ინფორმაცია, რომელიც, თავის მხრივ, ინახავს ყველა განცხადებას;
- ხშირ შემთხვევებში, შეფასების ფორმების შევსება მხოლოდ ვიზუალური დათვალიერების შედეგად მოპოვებულ ინფორმაციას

<sup>9</sup> იხილეთ ორგანიზაციული სტრუქტურა: <[http://mra.gov.ge/index.php?lang\\_id=ENG#index/170/EN](http://mra.gov.ge/index.php?lang_id=ENG#index/170/EN)>.

<sup>10</sup> ინტერვიუ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს თანამშრომელთან, 2011 წლის 11 თებერვალი.



ეკონომიკა, როგორცაა თავად სახლისა და საკარმიდამო ნაკვეთის დაზიანების ხარისხი;

- სამინისტრო მიმართავს ადგილობრივ მთავრობებს, გამოავლინონ ის ოჯახები, ვინც მოთხოვნილებების სწრაფად დაკმაყოფილებას საჭიროებენ (როგორც წესი, შეფასების 1-სა და მე-2 კატეგორიაში მყოფნი);
- სამინისტრო იყენებს საკუთარ ბიუჯეტს სახლებისა და საკარმიდამო ნაკვეთების შესასყიდად (ჩვეულებრივ, 2 პექტარს ერთ ოჯახზე), საჭიროების შენმთხვევაში ხდება ავეჯის შესყიდვა;
- ზოგიერთ შემთხვევებში ოჯახებს ეძლევათ საშუალება, აირჩიონ და წინასწარ მონახულონ ის ადგილები, სადაც სამომავლოდ უნდა მოხდეს მათი ჩასახლება;
- ბენეფიციარებმა ხელი უნდა მოაწერონ თანხმობის დოკუმენტს იმის თაობაზე, რომ მათი განსახლება მათივე სურვილისამებრ ხდება;
- აჭარის ადგილობრივი მთავრობა თითოეულ ოჯახზე გასცემს კომპენსაციას 1000 ლარის ოდენობით (420 ევრო);
- მუნიციპალური მთავრობები მათ რეგიონში დაზარალებული მოსახლეობის ტრანსპორტირებას უზრუნველყოფენ მათი ჩასახლების დანიშნულების წერტილამდე (მხოლოდ აჭარაში);
- ჩასახლებისას რეგისტრაციის გადღის შემდგომ ეკო-მიგრანტები სამინისტროსთან წყვეტენ ურთიერთობას და მიმართავენ რეგისტრაციის ადგილზე არსებულ მუნიციპალურ მთავრობებს თავიანთი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად;
- როგორც წესი, ადგილზე არ არსებობს მუდმივი საკონტაქტო პირი, რომელიც ეკო-მიგრანტებს მათთვის პრობლემური საკითხების განხილვასა და მოგვარებაში დაეხმარება.

*ძირითადი ნაკლოვანებები*

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო კვლავაც მიიჩნევს, რომ განსახლებისთვის საჭირო ბიუჯეტი არასაკმარისია (2010-2011 წლების განმავლობაში ბიუჯეტის არარსებობა), მათ ამ ეტაპამდე არ შეუძლებიათ არანაირი ახალი განაცხადი მიმდინარე სტრატეგიის გაუმჯობესების მიზნით. 2011 წლის გაზაფხულზე უმცირესობის საკითხთა ევროპული ცენტრისა (ECMI) და კავკასიის გარემოს დაცვის არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელის (CENN) მიერ ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა შემდეგი ტიპის ძირითადი ნაკლოვანებები;

- სამინისტროს განსახლების განყოფილება (მიგრაციის, რეპატრიაციისა და ლტოლვილთა დეპარტამენტის ეკო-მიგრაციის განყოფილება) მართავს შეფასებისა და განსახლების პროცესებს ამისთვის საჭირო თანმიმდევრული პოლიტიკისა თუ გრძელვადიანი სტრატეგიის გარეშე;
- ეკო-მიგრაციის მიმართ სტრუქტურული პოლიტიკის არარსებობა ნიშნავს იმას, რომ სამინისტროს უწევს მხოლოდ შეზღუდული საქმიანობების შესრულება, როგორცაა ეკო-მიგრანტებისათვის სახლებისა და საკარმიდამო ნაკვეთების შესყიდვა, რაც არ ითვალისწინებს არანაირ მიმდინარე დახმარებას, რამაც, თავის მხრივ, უნდა განაპირობოს ჩასახლების ადგილებში ახალმოსახლეთა წარმატებული ინტეგრირება;
- აღნიშნული სისტემის ფარგლებში გადაწყვეტილება მიიღება ინდივიდუალურად, რაც პოტენციურად ღიაა კორუფციისა და სახელმწიფო რესურსების მითვისებისთვის;
- არასაკმარისი ფინანსური რესურსები (2010-2011 წლებში



- ბიუჯეტის არქონა) სამინისტროს მყისიერი რეაგირების ფუნქციას უკარგავს;
- შეფასების პროცედურა არასისტემატურ ხასიათს ატარებს და ადგილობრივი ადმინისტრაციის მიერ ყოველთვის სერუპულოზურად არ ტარდება;
- სტიქიით დაზარალებული რეგიონების გეოლოგიური შეფასებების შესახებ მონაცემები საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ეკო-მიგრაციის განყოფილებას არ გააჩნია, თუმცა ამ ინფორმაციას ფლობს ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის სამინისტრო, მაგრამ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მსგავს ინფორმაციაზე ხელი კვლავაც არ მიუწვდება;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ეკო-მიგრაციის განყოფილებას არ აქვს არანაირ პროგნოზი მომავალში განსახლებისთვის საჭირო აუცილებელ ღონიძიებათა გატარების შესახებ, რაც იმაზე მეტყველებს, რომ სამინისტროს განსახლების პოლიტიკა მხოლოდ რეაქციულ ხასიათს ატარებს;
- მუნიციპალიტეტების დამოკიდებულება სტიქიის შედეგების შეფასებების პროცესებზე საგრძნობლად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ხშირად მუნიციპალურ ადმინისტრაციებს ვეალებათ გეოლოგიური დასკვნების მომზადება განსახლების დროს მთავარი საჭიროებების განსაზღვრის მიზნით, თუმცა აღნიშნული ყველასთვის სტანდარტულ პრაქტიკას არ

- წარმოადგენს. ადგილობრივ ადმინისტრაციათა უმრავლესობა განსახლების დროს აუცილებელ მოთხოვნათა შეფასებას ატარებს სპეციალური ფორმის მეშვეობით, რომლის შევსებაც მხოლოდ ვიზუალური დათვალიერების შედეგად ხდება. მუნიციპალიტეტებში მთავარი უზუსტობები შეფასებათა პროცედურების არაერთგვაროვნების გამო ფიქსირდება;
- კოორდინაცია განსახლების სამინისტროსა და იმ მუნიციპალურ ადმინისტრაციებს შორის, სადაც სტიქიური უბედურებების შედეგად ეკო-მიგრანტების ტალღა იქმნება, საკმაოდ შეზღუდულია, რაც საბოლოოდ გამოიხატება იმაში, რომ ადგილი აქვს მრავალ შეუსაბამობას და ანგარიშვალდებულებათა სისტემის გაუმართავ მუშაობას ეკო-მიგრანტებისთვის მოცემულ მომენტში არსებულ პრობლემათა დროულად მოსაგვარებლად;
- განსახლების პროცესების დასრულების შემდეგ, როცა მიგრანტებთან დაკავშირებული საკითხები საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს პასუხისმგებლობის სფეროს სცილდება, ახალ ადგილებში ჩასახლებული ეკო-მიგრანტებისთვის არ არის გამოყოფილი ოფიციალური საკონტაქტო პირი, რომელსაც ისინი დაუკავშირდებიან და გააცნობენ ადგილზე არსებულ მდგომარეობას. ხშირ შემთხვევებში, ჩასახლების ადგილებში მოქმედი მუნიციპალური სამსახურები ეკო-მიგრანტების საკითხების მიმართ ღიდ გულისხმიერებას არ იჩენენ;<sup>11</sup>

<sup>11</sup> ინტერვიუ ქვემო ქართლის მარნეულის რაიონის სოფელ ხიხანის ეკო-მიგრანტებთან, 2010 წლის ოქტომბერი



- განსახლების სამინისტროს ეკონომიკის განყოფილება არ არის ვალდებული, დაასაბუთოს იმ რეგიონების შერჩევის მართებულობა, რომლებიც ეკონომიკური განვითარების შემდგომი ჩასახლებისთვის შესაფერის არეალებად მოიაზრება.

*ხულოს რაიონის ადმინისტრაცია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა (2010 წლის 13 დეკემბერი)*

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსთან თანამშრომლობით მიგრაციების ყოფილსა და ჩასახლების არეალებში მოქმედი მუნიციპალური ადმინისტრაციები უნდა გახდეს განსახლების პროცესების წარმატებულად განხორციელების მთავარი გარანტი, რაც, თავის მხრივ, განსახლების დროს ძირითადი საჭიროებებისა და ბენეფიციარების იდენტიფიცირებასა და ჩასახლების არეალებში მიგრაციების წარმატებულ ინტეგრირებას ითვალისწინებს. ქვემოთ მოცემულია ინტერვიუ, რომელიც ხულოს რაიონში ადგილობრივი ადმინისტრაციის უფროსს ჩაუტარდა, სადაც როგორც წარსულში, ასევე ახლაც არაერთმა სტიქიურმა უბედურებამ საფრთხე შეუქმნა და კვლავაც უქმნის ადგილობრივი მოსახლეობის სიცოცხლესა და საცხოვრებელ პირობებს.

ხულოს რაიონული ადმინისტრაციის ახლად დანიშნულ უფროსს ჯერ კიდევ არ მიუღია მონაწილეობა ეკონომიკური განვითარების პროცესში, თუმცა მან დაასახელა ამ სფეროში მუშაობის საკმაოდ გამოცდილების მქონე პირი, ვისაც ინტერვიუს დროს დაევადა დეტალურად აღწერა ადგილობრივი ადმინისტრაციის მიერ, მეწყერის ან სხვა ტიპის სტიქიური უბედურებების საპასუხოდ გატარებული ზომები. ოფიციალურმა პირმა აღიარა, რომ ადგილზე არ არსებობს პრაქტიკაში გასატარებელი ფორმალური პოლიტიკა, თუმცა აღწერა შემდეგი ფაზები:

- სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებულ პირთა დახმარების მოთხოვნის განაცხადების მიღება;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანდაცვისა და სოციალური დახმარების სამინისტროს სახელზე წერილის გაგზავნა;
- დაზარალებულ არეალში გეოლოგების ვიზიტი ზარალისა და ადგილზე არსებული მთავარი მოთხოვნების შესაფასებლად;
- განსახლებისთანავე აჭარის ადგილობრივი მთავრობის მიერ 1000 ლარის (420 ევრო) საკომპენსაციო თანხის გადახდა თითოეული ბენეფიციარი ოჯახის საბანკო ანგარიშზე.

ოფიციალურმა პირმა ვერ დააკონკრეტა, თუ რომელი დაწესებულება აგზავნის გეოლოგების ჯგუფს დასკვნების მოსამზადებლად, ან რომელი უწყებაა განსახლებისთვის ფინანსური კომპენსაციების გამოყოფაზე პასუხისმგებელი.

**VI. ეკონომიკური განსახლების კონკრეტულ შემთხვევათა აღწერა (2010 წლის ოქტომბერ-დეკემბერი)**

წინამდებარე ანგარიშის ზემოთ განხილულ ნაწილში მოყვანილ სახელმწიფო მოხელეთა მოსაზრებებისა და მათი განსაღმტყობნების პროცესების მიმართ დამოკიდებულების გარდა ასევე მნიშვნელოვანია ეკონომიკური განვითარების აზრთა გაზიარებაც, რაც მეტად საინტერესო ჭრილში წარმოაჩენს მიგრაციის პროცესებს. აჭარის, ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და კახეთის რეგიონებში მცხოვრებ ეკონომიკურებთან ჩატარებული ინტერვიუები საკმაოდ ნათლად ასახავენ სახელმწიფო განსახლების პროცესების მიმდინარეობას, რაც ასევე მკაფიო დადასტურებაა აღნიშნული პროცესების როგორც წარმატებული ასპექტების, ასევე იმ ნაკლოვანი მხარეებისაც, რასაც შემდგომი სრულყოფა ესაჭიროება.





*აჭარის რეგიონის ხულოს რაიონის სოფელ ქვემო თხილვანადან ბენეფიციარი ეკო-მიგრანტების დამოკიდებულება სახელმწიფო განსახლების პროცესების მიმართ*

ინტერვიუები ჩაუტარდათ სოფელ ქვემო თხილვანას მკვირდ მოსახლეობას ადგილზე, ვისაც უკვე მიღებული ჰქონდათ სახელმწიფოს დახმარება ქვემო ქართლის რეგიონის მარნეულის რაიონში ჩასახლების უზრუნველყოფით. ქვემოთ მოცემულია აღნიშნულ არეალში ახალჩასახლებულთა გამოცდილების დეტალური აღწერა. სტიქიით დაზარალებული ქვემო თხილვანას მოსახლეობასთან ჩატარებული ინტერვიუებით ირკვევა, რომ მარნეულის რაიონში საცხოვრებლად ჩაყვანილი ხალხი იქ არსებული გაუსაძლისი პირობების გამო უკან დაუბრუნდნენ მშობლიურ მხარეს, გეოლოგების მიერ მომზადებული დასკვნების მიუხედავად, რომელთა შესაბამისადაც ხულოს რაიონის სოფელი თხილვანა საცხოვრებლად სახიფათო არეალად არის მიჩნეული და სადაც მისასვლელი გზაც კი აღარ არსებობს. ის ოჯახები, ვისაც სტიქიამ სახლები დაუზიანა, არ ტოვებენ საკუთარ მხარეს და ნათესავებს ან მეზობლებს არიან შეეკედლებულნი.

2007 წლის გაზაფხულიდან მოყოლებული ქვემო თხილვანაში რამდენიმე მეწვერის შედეგად როგორც სახლები, ისე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები და ის გზა დაზიანდა, რომელიც აღნიშნულ სოფელს სხვა მეზობელ სოფლებთან აკავშირებდა. ბოლო წლების განამკვალლობში მთის ფერდობებზე ტყეების გაჩეხვამ ნიადაგი დააზიანა, თუმცა მეწვერის მთავარ მიზეზად სოფლის ქვედა ქანებში გამდინარე წყლები მიიჩნევა. ამჟამად სოფელს დიდი ხრამი ორ ნაწილად ჰყოფს, და ორივე ნაწილი ძლიერი წვიმების შედეგად კვლავაც იტბორება. სოფელი ნელ-ნელა ინგრევა და ამჟამად მხოლოდ მისი ნახევარია დარჩენილი. სახლებისა და მიწების ამგვარი დაზიანების გამო ადგილობრივ მოსახლეობას უფრო და უფრო უჭირს ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო მეთოდებით თავის გატანა.

მას შემდეგ, რაც ადგილობრივ მუნიციპალურმა მთავრობამ შეიტყო პირველი ძლიერი მეწვერის შესახებ, მათი მეოხებით გეოლოგების გჯუფი ეწვია რაიონს. შესწავლილ იქნა ტერიტორია და 2007 წლის გაზაფხულზე მომზადდა გეოლოგიური დასკვნა, რამაც გამოავლინა, რომ მიწისქვეშა წყლები მდინარის სახით გაედინება ნიადაგის სიღრმეში და სოფელში ყველა სახლს დანგრევის საფრთხის წინაშე აყენებს. სოფლის მცხოვრებლებს გააცნეს აღნიშნული დასკვნა და სოფლის სკოლაში, დაახლოებით, 18 თვის შემდეგ შემდგარ შესვედრაზე ამ სოფლის ყველა მცხოვრებს მიენიჭა კატეგორია 1 სტატუსი, რაც იმაზე მეტყველებდა, რომ თითოეულ მათგანს სახელმწიფო დახმარება უნდა მიეღო სხვა რაიონებში განსახლების უზრუნველყოფით. ამ სოფლის 70-მა ოჯახმა თანხმობა, ხოლო 10-მა ოჯახმა უარი განაცხადა განსახლებაზე. სოფლის მოსახლეობას არ მიუღია არანაირი წერილობითი დოკუმენტაცია საკომპენსაციო დახმარებისა და მათი უფლებამოსილებების შესახებ, მათ ასევე არ გააჩნიათ ინფორმაცია თუ რომელი ოფიციალური დაწესებულება ითვლება მათი საკითხების განხილვაზე პასუხისმგებელ ორგანოდ.

2008 წლის დეკემბერსა და 2009 წლის თებერვალში ქვემო ქართლის მარნეულის რაიონის სოფელ ხიხანში ახალი ჩასახლება განხორციელდა. შემდეგ თავში აღწერილია სოფელ ქვემო თხილვანას ეკო-მიგრანტების ქვემო ქართლის რეგიონის მარნეულის რაიონის სოფელ ხიხანში ჩასახლებასთან დაკავშირებული დეტალები.

*ქვემო ქართლის რეგიონის მარნეულის რაიონის სოფელ ხიხანში განსახლების პირობები*

სოფელი ხიხანი ეკო-მიგრანტების სახელმწიფო განსახლებისთვის შესაფერის დანიშნულების ადგილს წარმოადგენდა, სადაც ხულოს რაიონიდან ეკო-მიგრაცია ორ ეტაპად განხორციელდა: პირველი 90-იანი წლების დასაწყისში, როცა აჭარის რეგიონიდან 100 ეკო-მიგრანტი ოჯახი ჩასახლდა და მეორე, როცა 2008 წლის დეკემბერსა და 2009 წლის თებერვალში 70 ოჯახი ხულოს რაიონის სოფელ ქვემო



თხილვანადან იქნა გადმოსახლებული (აღწერილია წინა თავში). განსახლების ამ მეორე ეტაპის მონაწილე მიგრანტებს ჩაუტარდა ინტერვიუები.

სოფელ ქვემო თხილვანას მცხოვრებლებს არ მიეცათ მათი ჩასახლებისთვის გამიზნული სოფელი ხიხანის წინასწარი დათვალიერების შესაძლებლობა. ეკო-მიგრანტების ნივთებისა და ავეჯის ტრანსპორტირებისათვის გამოყოფილ იქნა სპეციალური სატვირთო მანქანები. ჩასახლების ადგილებში არსებული სახლები მიგრანტთა ოჯახების სიდიდის მიხედვით იქნა განაწილებული. გარდა იმ ელემენტარული კონსტრუქციის სახლებისა (აღწერილია ქვემოთ), სადაც ეკო-მიგრანტები შეასახლეს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ თითოეულ ოჯახს მაცივარი, კარადა, ლოგინები (დაბალი ხარისხის მატრასებით) და ტელევიზორი გადასცა. აჭარის მთავრობამ ამავედროულად 1000 ლარის (420 ევრო) ფულადი კომპენსაცია გადაურიცხა თითოეულ ოჯახს ბანკის ანგარიშებზე, ასევე მათ მცირედი დახმარებაც გადაეცათ ფქვილისა და საწვავის სახით. ის სახლები, სადაც ეკო-მიგრანტების შესახლება განხორციელდა, ელემენტარულ საცხოვრებელ პირობებსაც არ აკმაყოფილებდა, კერძოდ სახლებში გათბობის არანაირი საშუალება არ იყო დამონტაჟებული თუნდაც ხის ღუმელების სახით, რაც მიგრანტებმა თავად შეიძინეს 200 ლარად (83 ევრო). არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, ახალმოსახლებებს ეჭვიც კი ეპარებათ იმაში, რომ მათ შესახლებამდე სახლები ელემენტარულ დონეზე მაინც შეეკეთდა.

ეკო-მიგრანტების საცხოვრებელი სახლების მშენებლობა საბჭოთა კავშირის პერიოდშია დაწყებული და დაუსრულებელ მდგომარეობაში იყო მიტოვებული მიგრანტების შესახლებამდე. როგორც ირკვევა, ისინი 2-სართულიან სახლებად იყო დაგეგმილი, თუმცა ზოგიერთ მათგანს რამდენიმე გარე კედელი დღემდე აკლია. ჩასახლებამდე მცირე ხნით ადრე სახლებში სახელდახელო რემონტია ჩატარებული. მინიმალური დანახარჯებით შეკეთებული სახურავების უმრავლესობა წვიმის წყალს ატარებს, 70 ოჯახისთვის სახელდახელოდ

მომზადებული საცხოვრებელი ბინებიდან მხოლოდ 8 მათგანია წყლისგან დაცული. მათ შორის, ზოგიერთი სახლი, მართლაც, უკიდურესად ცუდ მდგომარეობაშია: ორსართულიანი შენობის სტრუქტურის მქონე ერთ-სართულიანი ნაგებობები, რომლებსაც გარეთა კედლები არ აქვთ და ძლიერი წვიმის დროს იტბორებიან. 2008-2009 წლებში ეკო-მიგრანტების შესახლებამდე მცირე ხნით ადრე, ასეთ უკიდურეს მდგომარეობაში არსებულ სახლებში ერთი ან ორი ოთახი გარემონტდა, რასაც სახელდახელოდ შეკეთებული სახურავი გაუკეთდა. გარდა ამისა, სახლებში არსებული ტყრები არათაბრადაა მორგებული და ხშირ შემთხვევაში ნაწილებად იშლება.

2010 წლის აგვისტოში გაფუჭდა წყალსატუმბი, რომელიც ახლომდებარე პატარა მდინარიდან ამარაგებდა სოფელს წყლით. სოფელი ხიხანის მოსახლეობისათვის წყლის ალტერნატიული წყარო მხოლოდ სოფლის განაპირას არსებული ჭა აღმოჩნდა. ადგილობრივ ოჯახებს, განსაკუთრებით, ბავშვებს დღის განმავლობაში რამდენჯერმე უწევდათ რამდენიმე (2-4) კილომეტრის გავლა წყლის მოსატანად, ხშირად რიგში დგომაც, რათა საყოფაცხოვრებო მოხმარებისთვის საჭირო წყლის საკმარისი მარაგი მოეგროვებინათ დღის განმავლობაში. სახელმწიფომ ახალი ტუმბოს შესაძენად 12 ათასი ლარი გამოყო. თითოეულმა ოჯახმაც გაიღო გარკვეული თანხა იმავე მიზნით მარნეულის მუნიციპალურ ადმინისტრაციაში, თუმცა მოსახლეობა კვლავაც უკმაყოფილოა იმ ფაქტით, რომ ადგილობრივი მთავრობა არ იჩენს საკმარის ყურადღებას ამ საკითხის მიმართ, რაც იმაში გამოიხატება, რომ სოფელი კვლავაც ტუმბოს შესყიდვას ელოდება. მარნეულის რაიონის სოფლების გაზის მომარაგების სისტემასთან დასაკავშირებლად, სამთავრობო პროგრამის შესაბამისად, სოფლებში გაზის მილების შემოტანა დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივ მოსახლეობამ იცოდა, რომ აღნიშნული პროგრამით მათი სახლები გაზით მომარაგების სისტემას უფასოდ უნდა დაკავშირებოდნენ, მარნეულის რაიონულმა ადმინისტრაციამ სოფლის მოსახლეობას სახლებამდე გაზით მომარაგების უზრუნველსაყოფად 300 ლარის დამატებით გადახდა მოსთხოვა. სახლები ელექტროენერგიით მარაგდება, თუმცა



მოსახლეობა შეშფოთებას გამოთქვამს ელექტრო-გაყვანილობების დაბალი სტანდარტებით დამონტაჟების თაობაზე, რადგან საცხოვრებელი სახლების წვიმის წყლის მიმართ დაუცველობა არსებული გაყვანილობის პირობებში მგომარეობას უკიდურესად სარისკოს ხდის. შესახლებიდან ექვსი თვის თავზე სოფლის ერთ-ერთ მოსახლეს სახლი დაეწვა. იგი ახლა მეზობლებთან ცხოვრობს და მის სახლში ცეცლის გაჩენას სახელდახელოდ დამონტაჟებულ ელექტრო-გაყვანილობას ამბრალებს.

აღნიშნულ სოფელში სახელმწიფო განსახლების პროცესში ეკო-მიგრანტებისთვის 2 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების გადაცემაც იყო გათვალისწინებული, რაც ჩასახლებიდან ორი წლის მანძილზეც არ მოგვარებულა. ეკო-მიგრანტებს საკუთარი საქონლის გამოსაკვებად საერთო საძოვარი მიწების გამოყენება უხდებათ, რაც მცირე შემოსავლების წყაროა მათთვის. მიგრანტები კვლავაც უკმაყოფილებას გამოთქვამენ მუნიციპალური მთავრობის მიმართ საკუთარი მიწების არ ქონის გამო, ვინაიდან არაერთხელ გაკეთებული მიმართვა სიტუაციის გამოსწორების მიზნით რეალურ შედეგს არ იძლევა. ეს ყოველივე კი გახდა მთავარი მიზეზი იმისა, რომ ჩასახლებული ეკო-მიგრანტების უმრავლესობა თავიანთ ნასახლარს დაუბრუნდა აჭარის რეგიონში. ეკო-მიგრანტების უმრავლესობას საკუთარი თავის რჩენა მხოლოდ სოფლის მეურნეობით შეუძლია და მისთვის მიწის დამუშავების გარდა, დასაქმების სხვა ალტერნატივა, ფაქტობრივად, არ არსებობს. ეკო-მიგრანტები რძის პროდუქტების წარმოებითა და რეალიზაციით ირჩევენ თავს, რამდენიმე მათგანი კი, დაბალი ანაზღაურების სანაცვლოდ ადგილობრივ ფერმერებთან მიწის მუშად მუშაობს.

ეკო-მიგრანტები ასევე გამოთქვამენ უკმაყოფილებას იმის თაობაზე, რომ ოფიციალური პირები როგორც სამინისტროდან, ასევე რაიონული ადმინისტრაციიდან ყველანაირად იგნორირებას უწევენ მათ პრობლემებს. ისინი ჩასახლების დღიდან სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენლის მხოლოდ ერთ ვიზიტს იხსენებენ, რომლის ფარგლებშიც ადგილობრივ მოსახლეობას

მიეცა საშუალება, ოფიციალური წარმომადგენლისათვის გაეცნო საკუთარი სატვივარი საცხოვრებელი სახლების გაუმართაობისა და სასოფლო-სამეურნეო მიწების სიმცირის თაობაზე. თუმცა მას შემდეგ ამ ყოველივეს არც საპასუხო რეაქცია და არც შემდგომი ვიზიტი არ მოჰყოლია. ადგილობრივი მოსახლეობის მიერ არჩეული წარმომადგენელი იხსენებს რამდენიმე წარუმატებელ მცდელობას, როცა მარნეულის რაიონულ ადმინისტრაციაში განსახილველად წამოჭრა საკითხი ჩასახლებული ეკო-მიგრანტების გაუმართავე სახლებისა და მიწების დაურიგებლობის შესახებ. ადგილობრივი ოფიციალური პირების მხრიდან ეკო-მიგრანტების საკითხების მიმართ პასუხისმგებლობის თავიდან არიდების არართი პრეცედენტი არსებობს, როცა ისინი ეკო-მიგრანტებს მოუწოდებენ დახმარებისთვის აჭარის ადგილობრივ მთავრობას მიმართონ. ეკო-მიგრანტებს ადგილობრივი ადმინისტრაცია მიაჩნიათ კორიფციულ ორგანოდ, რომელიც უკიდურეს ინდიფერენტულ დამოკიდებულებას ამჟღავნებს მათი საზრუნავისა და მოთხოვნების მიმართ.<sup>12</sup> მიგრანტები ასევე გამოხატავენ უკმაყოფილებას იმ თანხების აშკარა გაუჩინარების შესახებ, რაც მათი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად იყო გამოიხსნეული, თუმცა ზოგადად ძნელია იმ კომპენსაციებზე საუბარი, როცა არ არსებობს საკმარისი წარმოდგენა ან დოკუმენტურად გაფორმებული დამამტკიცებელი საბუთი აღნიშნული მტკიცების დასასაბუთებლად.

ეკო-მიგრანტები ასევე ასახელებენ მათ მცდელობას პრეზიდენტ სააკაშვილისათვის გადაეცათ პეტიცია, როცა იგი იძულებით გადაადგილებული პირებით დასახლებულ ახლომდებარე სოფელს სტუმრობდა. მიგრანტები, რომლებიც პრეზიდენტთან მისვლას გეგმავდნენ, პოლიციამ მის ჩამოსვლამდე რამდენიმე საათით ადრე დააკავა და სოფლიდან მოშორებით ტყეში დატოვა, საიდანაც მათ სოფლამდე ფეხით მოუწიათ სიარული. ამ ინციდენტმა ეკო-მიგრანტებში დათესა როგორც მათი პრობლემების განხმარების უარყოფითი შედეგების მიღების შიში, ასევე ზოგიერთი

<sup>12</sup> ინტერვიუ ქვემო ქართლის მარნეულის რაიონის სოფელ ხიხანის ეკო-მიგრანტებთან, 2010 წლის ოქტომბერი





მეზობლის მიმართ უნდობლობა და ეჭვი. ეკო-მიგრანტებსა და მკვიდრ მოსახლეობას შორის ურთიერთობა არ არის პრობლემატური. მათი უახლოესი მეზობლები 2 ათწლეულის წინ ჩამოსახლებული ასევე ეკო-მიგრანტები არიან ხულოს რაიონიდან. ახალმოსახლენი და ყოფილი მიგრანტები, რომლებიც უკვე სოფელ ხიხანის მკვიდრნი არიან, მშვიდობიანად თანაცხოვრობენ, თუმცა ახლად ჩასახლებულთა საცხოვრებელი სტანდარტები გაცილებით დაბალია ადგილობრივებთან შედარებით. სოფელ ხიხანის ეკო-მიგრანტები რძისა და სხვა საკვები პროდუქტებით ვაჭრობენ, რითაც ასევე ამარაგებენ ეთნიკური სომხებით დასახლებულ სოფელ შაუმიანსაც.

ახალმოსახლე ეკო-მიგრანტებს რეგიონში გავრცელებულ შხამიან გველებთან მოუწიათ შეხება. სოფლის მახლობლად მდებარე საბჭოთა პერიოდში უყურადღებოდ დატოვებული გველების ფერმიდან მაღალ ბალახებში შხამიანი გველები გავრცელდა. ბოლო წლებში გველის ნაკბენის გამო ქალი გარდაიცვალა, და პატარა ბიჭმა თითი დაკარგა. ადგილობრივი მთავორიანი რელიეფი ქიმიურ დამუშავებას საჭიროებს.

*სახელმწიფო განსახლება სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ნინოწმინდის რაიონის სოფელ გორელოვკაში*

2004 წლიდან სახელმწიფოს მიერ აჭარის რეგიონიდან ეკო-მიგრანტების 68 ოჯახი საცხოვრებლად გადაყვანილი იქნა ჯავახეთის რეგიონის (მოსახლეობის 95% ეთნიკური სომხებია) სოფელ გორელოვკაში. მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან აღნიშნული სოფელი და რამდენიმე სოფელი მის გარშემო ეთნიკურად რუსი დუხობორების თემებით იყო დასახლებული. დუხობორთა თანდათანობითი ემიგრაციის პირველი ტალღა გასული საუკუნის 90-იან წლებში დაიწყო, რაც შემდგომში 2000-იან წლებშიც გაგრძელდა და მასიური სახე ბოლო რამდენიმე წლის განამელობაში მიიღო, შედეგად მათ საბოლოოდ დატოვეს აღნიშნული ტერიტორია. გორელოვკაში დუხობორების მიერ დატოვებული სახლ-კარი როგორც სახელმწიფომ, ასევე სომეხმა მოსახლეობამაც შეიძინა. 90-იან წლებში ეკო-მიგრანტების ჩასახლებას სოფელ გორელოვკაში

ადგილობრივი ეთნიკური სომეხი მოსახლეობის მხრიდან არა მხოლოდ დაპირისპირება, არამედ ძალადობაც მოჰყვა. ამჟამად ამ ტერიტორიაზე ეკო-მიგრანტების ჩასახლების ინტენსიურობის კლება ამ საკითხი ნაკლებ სადავოდ აქცია.

დღევანდელი მდგომარეობით დუხობორების ყოფილ სახლებში აჭარის რეგიონიდან ჩამოსახლებული 68 ეკო-მიგრანტი ოჯახი ბინადრობს. მარნეულის რაიონში არსებული სახლებისგან განსხვავებით (წინა თავში განხილული შემთხვევები) აქაური სახლების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. გორელოვკაში ჩასახლებული ეკო-მიგრანტების თითოეულ ოჯახს აჭარის მთავრობამ 1000 ლარის კომპანსაცია (420 ევრო) გადაუხადა. ეკო-მიგრანტებს საჭირო ავეჯი არ მიუღიათ, თუმცა სახლებში შესახლებისას ადგილზე არსებული ნივთები მათ სრულ განკარგულებაში გადავიდა. სახლებში გაზი არ არის, თუმცა შეყვანილია ელექტრო-ენერჯია, ხოლო ბუნებრივი აირი, რომლის მიღსადენებიც, სახელმწიფო პროგრამის თანახმად, მოსახლეობას სახლებამდე უნდა მიუვიდეს, ჯერ ახლომდებარე ტერიტორიამდეც არ არის მიყვანილი. წყალი, ტრადიციულად, ინდივიდუალური ან საერთო ჭებიდან მიეწოდება სოფელს. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო პროგრამამ უფასოდ უნდა უზრუნველყოს წყალმომარაგების სისტემის გაყვანა და სახლების სასმელი წყლით უზრუნველყოფა, ადგილობრივმა მთავრობამ თითოეულ ოჯახს წყლის სახლამდე მიყვანისთვის 400 ლარის (166 ევრო) გადახდა მოსთხოვა.

ეკო-მიგრანტების ნაწილმა სახელმწიფოსგან მიიღო 2 ჰექტარი მიწის ნაკვეთი სოფლიდან მოშორებით, თუმცა ზოგიერთი მათგანი კვლავაც მიწის გარეშეა დარჩენილი ადგილობრივი ადმინისტრაციის მრავალი დაპირების მიუხედავად. მათ სხვა არაფერი დარჩენიათ გარდა იმისა, რომ დაბალი ანაზღაურების სანაცვლოდ დღიური სამუშაო შეასრულონ. რეგიონში უმუშევრობა კრიტიკულ ზღვარს აღწევს და მოსახლეობა საკუთარი მიწის დამუშავებით მიღებული პროდუქტით ირჩენს თავს. ადგილობრივი მთავრობის მრავალი დაპირება, რომ ეკო-მიგრანტები მეტ დახმარებას მიიღებენ მიწის, დასაქმებისა და სხვადასხვა სახის კომპენსაციების სახით, მხოლოდ დაპირებად





რჩება და კონკრეტული ქმედება ჯერ არ მოჰყოლია. ეკო-მიგრანტებს უძნელდებოდათ ფერმერული მეურნეობების დაწვეობისთვის საჭირო კრედიტების მიღება.

მარნეულის რაიონის სოფელ ხიხანში მცხოვრები ეკო-მიგრანტებისგან განსხვავებით, გორელოვკაში ჩასახლებულ ოჯახებს რეგულარული კონტაქტი აქვთ სამინისტროს ოფიციალურ წარმომადგენელთან თბილისში. აღნიშნული პირი ვალდებულია ეკო-მიგრანტებისთვის სახლების შესყიდვა და სხვადასხვა კომპენსაციების გაცემა აკონტროლოს, ასევე მას ევალუა ადგილობრივ ადმინისტრაციას გააცნოს მიმდინარე პრობლემების არსი და მათზე სამინისტროს ეკო-მიგრანტების განყოფილებაში მომზადოს ანგარიშები. მუდმივად ოფიციალურ პირთან კომუნიკაციის საშუალება გაცილებით ადვილს ხდის ადგილობრივებისთვის ამა თუ იმ პრობლემის წამოჭრას, თუმცა ამ ტიპის დახმარება მაინც ვერ გახდა ეკო-მიგრანტებისთვის დაპირებული მიწის ნაკვეთების დარიგების გარანტი და მუნიციპალური მთავრობა კვალდაც უყურადღებოდ ტოვებს მიგრანტებისთვის მტკივნეულ საკითხებს.

ეკო-მიგრანტებსა და ადგილობრივ ეთნიკურ სომეხ მოსახლეობას შორის ორმხრივი ეჭვი და უნდობლობა არსებობს. მიგრანტების უმრავლესობა უფრო მეტად ურთიერთობს და თანამშრომლობს დარჩენილ მცირერიცხოვან დუხობორებთან, ვიდრე ეთნიკურ სომეხებთან.

ეკო-მიგრანტები უკმაყოფილებას გამოთქვამენ რაიონში ეთნიკურად სომეხი მოსახლეობის ინტერესთა „გაბატონების“ გამო ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორცაა მიწის საკუთრება და საკმაოდ სკეპტიკურად უყურებენ რაიონულ ადმინისტრაციაში ამ საკითხის გაპროტესტების პერსპექტივებს, ვინაიდან მიაჩნიათ, რომ ადგილობრივი მთავრობა უკიდურესად კორუმპირებულია და მათთან საუბარი ამ საკითხებზე შედეგს არ გამოიღებს. ადგილობრივი ეთნიკურად სომეხი მოსახლეობა მუსულმან აჭარელ ეკო-მიგრანტებს „თურქებად“ თვლის, თუმცა მათი მცირე რაოდენობის მიუხედავად, რაიონის იდენტობის მიმართ მაინც საფრთხედ მიიჩნევენ.

### სახელმწიფო განსახლება კახეთის რეგიონის ლაგოდეხის რაიონის სოფელ არაშფერანში

2007 წლის ბოლოს სოფელ არაშფერანში 13 ოჯახის, ხოლო 2009 წლის დეკემბერში დამატებით 20 ოჯახის ჩასახლება მოხდა. ეკო-მიგრანტები აჭარის რეგიონის შუახევის, ხულოსა და ხელვაჩაურის რაიონებიდან ჩამოსახლდნენ. სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებულმა ოჯახებმა რაიონულ ადმინისტრაციას გაუგზავნეს მოთხოვნა დახმარების მიღებაზე და სამი დღის ვადაში როგორც განსახლების სამინისტრომ თბილისში, ასევე აჭარის რეგიონულმა მთავრობამ იცოდა აღნიშნული მოთხოვნის შესახებ. დაზარალებულ რაიონებს გეოლოგები ეწვივნენ დასკვნების მოსამზადებლად. ადგილობრივი მოსახლეობა კარგად იცნობდა დაზარალებულთა კატეგორიზაციის სიტემას, რის შესაბამისადაც მათ, ვისაც 1 და მე-2 კატეგორიის სტატუსი (დანგრეული სახლი; დაზიანებული სახლი, რომელიც აღდგენას აღარ ექვემდებარება) მიენიჭათ, განსახლებას დაექვემდებარნენ. ადგილობრივმა მოსახლეობამ ჩატარებული შეფასება სამართლიანად მიიჩნია და განსახლების პროცესი 2 თვის თავზე განხორციელდა.

სახელმწიფომ ეკო-მიგრანტების ტრანსპორტირების უზრუნველსაყოფად სატვირთო მანქანები გამოყო და თითოეულმა ოჯახმა კომპენსაციის სახით ერთი ტომარა ფქვილი და 20 ლიტრი ბენზინი მიიღო. აჭარის ადმინისტრაციამ ფულადი კომპენსაციის სახით თითოეულ დაზარალებულ ოჯახს 1000 ლარი (420 ევროს) გადასცა. ეკო-მიგრანტების ჩასახლებისთვის გამოზნული სახლების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა, მასში წინა მაცხოვრებლების მიერ დატოვებული ავეჯის გარდა. მიგრანტებს ახალი ავეჯი არ მიუღიათ. სოფელში ჩასახლებულ პირთა სახლები ადრე ადგილობრივ ოს მოსახლეობას ეკუთვნოდა. ყველა სახლი ელექტროენერგიით მარაგდება. ჩასახლებული ოჯახები სასმელ წყალს ინდივიდუალური ან კოლექტიური ჭებიდანღებულობენ. სახელმწიფოს მიერ გაზით მომარაგების პროგრამა დაწყებულია, თუმცა



მოშორებით მდებარე სოფელი არაშფერანი ამ ეტაპზე აღნიშნულ გეგმაში არ შედის. თითოეული ოჯახი ნახევარ ჰექტარ მიწის ნაკვეთს ამუშავებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსაყვანად. სოფლის მახლობლად არსებობს საძოვრები, რასაც სოფლის მოსახლეობა საკუთარი საქონლისთვის საზიაროდ იყვებს. თუკი არ არის საკმარისი საკარმიდამო ნაკვეთი სახლთან ახლოს, მაშინ მოსახლეებს მიწა სახლისგან მოშორებით ეძლევათ. ზოგიერთი ოჯახი საკმაოდ მეტ პროდუქტს აწარმოებს, რის გაყიდვასაც ასევეებს.

აღნიშნულ სოფელში ჩასახლებული ეკო-მიგრანტები კმაყოფილებას გამოთქვამენ მათი ახალი საცხოვრებელი პირობებისა და საქართველოს აღნიშნულ რაიონში არსებული ნოყიერი მიწების გამო. 90-იან წლებში ბევრმა ოსმა მოსახლემ დატოვა სოფელი, ხოლო დღევანდელი მდგომარეობით აქ მაცხოვრებელი 552 კომლიდან ერთი ნახევარი ეთნიკურად ოსები, ხოლო მეორე ნახევარი ეთნიკურად ქართველები არიან. ეს ორი ეთნიკური ჯგუფი ერთმანეთთან უპრობლემოდ ურთიერთობენ.

### სახელმწიფო განსახლება კახეთის რეგიონის ახმეტის რაიონის სოფელ ქორეთში

ტელეფონით დაკავშირებისას სოფელ ქორეთში ჩასახლებულმა ეკო-მიგრანტებმა უარი განაცხადეს მათთან ინტერვიუების ჩატარებაზე. მათ აღნიშნეს, რომ ბოლო დროის ვიზიტორი მკვლევარებისთვის მიცემული ინტერვიუების შემდგომ სიტუაცია ეთნიკურ ქისტ მოსახლეობასთან უფრო დაიძაბა და ძალადობრივი ხასიათი მიიღო. ეკო-მიგრანტების განმარტებით, სოფელში არსებულმა ზოგად კრიმინალურმა სიტუაციამ აიძულა ზოგიერთი ახალმოსახლე დაბრუნებოდა აჭარის რეგიონს, სადაც ისინი ბათუმთან ახლოს ერთ-ერთ სოფელში დროებით გამოყოფილ სახლში ცხოვრობენ, რომლებსაც არც შემოსავალი და არც რაიმე პერსპექტივა არ გააჩნიათ სამომავლოდ.

## VII. ეკო-მიგრანტთა სახელმწიფო განსახლების პროცესების

### თანამდგევი პრობლემების მიმოხილვა

წინა თავებში განსახლების თითოეული შემთხვევის განხილვამ ნათლად განმარტა, რომ მიუხედავად იმ პროგრესისა, რაც ამ სფეროში 2004 წლიდან დღემდე შეინიშნება, მიგრაციის პროცესებში მთავარი ნაკლოვანებების გამო ეკო-მიგრანტებს კვლავაც ექმნებათ ჩასახლების ადგილზე დამკვიდრებისა და ინტეგრირების პრობლემები. სახელმწიფო განსახლების მდორედ მიმდინარე პროცესებისა და დღეს არსებული მოთხოვნების დაკმაყოფილებისთვის საჭირო რესურსების არაადეკვატურობის გარდა, ოფიციალური წერილობითი დამადასტურებელი დოკუმენტებისა და მიგრაციის რეგულირებისათვის საკონტაქტო პირის არ არსებობა - აბსოლუტურ გაურკვეველობაში ამყოფებს ეკო-მიგრანტებს განსახლებასთან ერთად მისაღები კომპენსაციებისა და დროის განრიგის არ ცოდნის თვალსაზრისით. ეს ყოველივე კი, საფუძველს უქმნის მოსაზრებებს განსახლების პროცესებში კორუფციის არსებობისა და ჩასახლების დასრულების შემდეგ ეკო-მიგრანტების მიმართ სავარაუდო საფრთხეების გაჩენის შესახებ.

უმეტეს შემთხვევებში, ეკო-მიგრანტებს ჩასახლების პროცესების დროს დაპირებული მიწის ნაკვეთები კვლავაც არ მიუღიათ. მათ მიწის გარეშე თავის რჩენა უჭირთ, რაც საგრძნობლად ართულებს ახალმოსახლეთა ინტეგრაციას ახალ საცხოვრებელ გარემოში. სახლები, სადაც ეკო-მიგრანტების ჩასახლება ხდება, ზოგიერთ შემთხვევებში, საცხოვრებლად უვარჯის მდგომარეობაშია. ხოლო ის ოჯახები, ვინც მეტ-ნაკლებად კარგ პირობებში აღმოჩნდნენ, (თუნდაც ავეჯისა და სხვა ინვენტარის გარეშე) და მიწის ნაკვეთიც გადაეცათ, კმაყოფილებას გამოთქვამენ მიღებულ დახმარებაზე და წარმატებულად იწყებენ ახალ ცხოვრებას მათთვის უცხო გარემოში.<sup>13</sup> მუნიციპალური ადმინისტრაციები ხშირად დიდ ენთუზიაზმს არ იჩენენ ეკო-მიგრანტების ახალ გარემოში ინტეგრირების

<sup>13</sup> ინტერვიუები კახეთის რეგიონის ლაგოდეხის რაიონის არეშფერანის მოსახლეობასთან, 2010 წლის დეკემბერი.



ხელშეწყობის მიმართ, რის გამოც იზოლირებულ გარემოში ამყოფებენ მათ და ამით, პრაქტიკულად, გამორიცხავენ ახალმოსახლეთა მხირდან პრობლემების წამოჭრის შესაძლებლობასაც კი. ხანდახან ზოგიერთი რაიონის მკვიდრ მოსახლეობასთან ურთიერთობა საკმაოდ რთულდება და ეკო-მიგრანტები მათდამი მტრულ გარემოში ხვდებიან (ქორეთის შემთხვევა), ხშირად მათ უცხოებად მიიჩნევენ, რასაც შემდგომში მათი მარგინალიზაცია (სოფელ გორელოვკის შემთხვევა) მოსდევს.

აღნიშნულ მაგალითებზე დაყრდნობით, შესაძლებელი ხდება სახელმწიფო განსაზღვრების პროცესებთან დაკავშირებული შემდეგი სახის სტრუქტურულ ნაკლოვანებათა გამოყოფა:

- ეკო-მიგრანტების საკითხების მიმართ თანმიმდევრული სახელმწიფო პოლიტიკის არ ქონამ და რესურსების სიმცირემ ათასობით ადამიანი დატოვა სიცოცხლისათვის საშიშ და არასტაბილურ მდგომარეობაში;
- გეოლოგიური დასკვნებისა და ეკო-მიგრაციისთვის საჭირო რესურსების წინასწარი პროგნოზირების უკმარისობა ეკო-მიგრანტების როგორც რეალურ მოთხოვნებს, ასევე მათი დაკმაყოფილების პერსპექტივებსაც ბუნდოვანს ხდის;
- სახელმწიფო განსახლებით უზრუნველყოფილ პირებთან წერილობითი და სხვა კომუნიკაციის უქონლობამ განაპირობა ის, რომ მათ არაფერი იციან საკუთარი უფლებების შესახებ, რაც, თავის მხრივ, ბაღებს ეჭვს მათთვის გამოყოფილი თანხების არამართებულად გამოყენებაზე განსახლების პროცესების როგორც დაწებისას, ისე მათი დასრულების შემდეგაც;<sup>14</sup>
- განსახლების პროცესების დროს დახმარებებისა და კომპენსაციების განაწილებაზე კონტროლის სიმცირემ მრავალი ეკო-მიგრანტი როგორც მიწის ნაკვეთების გარეშე, ასევე საცხოვრებლად უვარგისი სახლების ამარა დატოვა;

- სამინისტროს ეკო-მიგრაციის განყოფილების საქმიანობასა და განსახლების არეალში მოქმედი ადგილობრივი მთავრობის მიერ ჩასატარებელ ღონისძიებებს შორის არაუფექტური კოორდინაცია იწვევს პასუხისმგებლობათა განაწილების მექანიზმის მოშლას, რასაც მოსდევს ეკო-მიგრანტების მიერ მისაღები დახმარების შეფერხება და ადგილობრივი მთავრობების მიერ მიგრანტების მოთხოვნების უგულვებლყოფა;
- მიგრანტების განსახლებისთვის შესაფერისი სხვადასხვა ადგილების შერჩევისა და დაგეგმვის ნაკლებობამ გამოიწვია ის, რომ მათ მატერიალურად მძიმე და არასათანადო გარემოში უწევთ ცხოვრება;
- ადგილობრივ მოსახლეებს, ეკო-მიგრანტებსა და სხვადასხვა დონეზე არსებულ ოფიციალურ წარმომადგენლებს შორის დიალოგის მექანიზმის არ ქონამ საკამრისი საფუძველი შეუქმნა ამ ჯგუფებს შორის უნდობლობასა და დაპირისპირებას, რამაც ინტეგრაციის პროცესები უფრო რთული გახადა;<sup>15</sup>
- ეკო-მიგრანტების პრობლემების მიმართ გულისხმიერი დამოკიდებულების მქონე საკონტაქტო პირის არ არსებობა (ჯავახეთის რეგიონის გარდა) მათ ახლადჩასახლებულ რაიონებში უკიდურესად დაუცველ მდგომარეობაში ამყოფებს და ყველა მიმდინარე პრობლემა თუ სირთულე კვლავაც გადაუჭრელი რჩება.

### VIII. რეკომენდაციები პოლიტიკის შემუშავებისთვის

#### *ეკოლოგიური მიგრაციის სამუშაო ჯგუფის შექმნა*

<sup>14</sup> ინტერვიუ აჭარის რეგიონის სოფელ ქვემო თხილვანას ეკო-მიგრანტებთან, 2010 წლის დეკემბერი

<sup>15</sup> ინტერვიუ გორელოვკას ეკო-მიგრანტებთან, სამცხე-ჯავახეთის ნინოწმინდის რაიონი, 2010 წლის დეკემბერი



### მიგრაციის სახელმწიფო კომისიაში

საქართველოს იუსტიციის სამინისტროში 2010 წლის 10 დეკემბერს მიგრაციის სახელმწიფო კომისია,<sup>16</sup> შეიქმნა, რაც ყველა შესაბამისი სამინისტროსა თუ ოფიციალური უწყების წარმომადგენელს აერთიანებს, როგორცაა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროები. აღნიშნული უწყების შდამფუძნებელი დოკუმენტები ითვალისწინებს მანდატს ეკო-მიგრანტებისთვის სპეციალური სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე. სამუშაო ჯგუფი სწრაფად უნდა ჩამოყალიბდეს, რომლის შემადგენლობაში შევა სხვადასხვა ოფიციალური უწყების წარმომადგენლები (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა, იუსტიციის, ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის სამინისტროები და სხვა შესაბამისი სახელმწიფო უწყებები). სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბების შემდეგ, მან უნდა შეძლოს ეკოლოგიური მიგრანტების უფლებათა დაცვის კანონმდებლობის დაგეგმვასა და შედგენაზე მეთვალყურეობის გაწევა, ასევე ეკო-მიგრანტების განსახლებისთვის საჭირო მოთხოვნებზე სწრაფი რეაგირებისთვის საჭირო ზომების მიღება და გრძელვადიანი სტრატეგიის ჩამოყალიბების პროცესის დაგეგმვა. კერძოდ კი, ეკო-მიგრაციას 2011 წლის შემოდგომაზე დაგეგმილი მიგრაციის კომისიის საერთაშორისო კონფერენციის დროს განსახილველ საკითხთა შორის მთავარი ადგილი უნდა დაეთმოს.

### კანონმდებლობა ეკოლოგიური მიგრანტების უფლებათა დაცვის შესახებ

საქართველოს კანონი ეკოლოგიური მიგრანტების შესახებ უნდა მომზადდეს და დამტკიცდეს, რამაც უნდა უზრუნველყოს

ეკო-მიგრანტების უფლებების დაცვა იმავე პრინციპით როგორც ეს იძულებით გადაადგილებულ პირთა მიმართებაში ხორციელდება. აღნიშნული კანონმდებლობა უნდა გახდეს განსახლების სტრატეგიის მთავარი ფუნდამენტი, რაც შესაძლოა სრულიად ახალი კანონის, ან იძულებით გადაადგილებულ პირთა საქართველოს კანონის დამატების სახით ჩამოყალიბდეს<sup>17</sup>, რაშიც შევა განმარტება, რომ სტიქიური მოვლენების შედეგად გადაადგილება არის ის დასაშვები კრიტერიუმი, რომლის შესაბამისადაც ხდება იძულებით გადაადგილებულ პირთა სტატუსის მინიჭება ან იმავე პრინციპით მათი დაცვა.

იუსტიციის სამინისტროსთან უშუალო თანამშრომლობით უნდა ჩამოყალიბდეს საპარლამენტო სამუშაო ჯგუფი, რომელსაც დაევალება ეკო-მიგრანტების კანონ-პროექტის მომზადება, რაშიც იმ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების კონსულტაციებიც იქნება გათვალისწინებული, რომლებიც ამავე სფეროში, კერძოდ კი, იურიდულ საკითხებზე მუშაობაში არიან ჩართულნი.

### გადაუდებელ საკითხთა მოგვარება

ეკო-მიგრაციის სამუშაო ჯგუფი, როგორც მიგრაციის უწყებათაშორისი სამთავრობო კომისია, უნდა ჩამოყალიბდეს და შეიმუშაოს ეკოლოგიურ მიგრაციასთან დაკავშირებულ გადაუდებელ საკითხთა მოგვარების გეგმა, არასამთავრობო ორგანიზაციებთან კონსულტაციების გათვალისწინებით, კერძოდ, მიგრაციის სამოქალაქო საზოგადოების კოალიციასთან ერთად, ვისი წევრებიც ამ ეტაპზე აქტიურად არიან ჩართულნი განსახლების პროცესებისა და მათთან დაკავშირებული ყველა აუცილებელ საკითხთა შესწავლაში. აღნიშნული კოალიცია 2011 წლის მარტში დაარსდა იმ მიზნით, რომ მომხდარიყო ყველა ჩატარებული კვლევის შედეგების გაზიარება და ეკო-მიგრაციასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხების შესაბამის უწყებებთან განხილვა, ასევე ამავე საკითხებზე

16

[http://justice.gov.ge/index.php?lang\\_id=ENG&sec\\_id=146&info\\_id=2918](http://justice.gov.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=146&info_id=2918)

<sup>17</sup> საქართველოს კანონი იძულებით ადგილნაცვალ პირთა შესახებ (ქართულად) [http://mra.gov.ge/files/01-IDPs\\_kanoni\\_devniiTa\\_Sesaxeb.pdf](http://mra.gov.ge/files/01-IDPs_kanoni_devniiTa_Sesaxeb.pdf)





მომუშავე სხვადასხვა აქტორისა თუ დონორი ორგანიზაციის მიერ გასატარებელ ღონისძიებათა კოორდინაცია.

სტრუქტურულად გამართული დახმარების პროგრამა ბენეფიციარ მოსახლეთა კატეგორიებისა და ჩასახლებისთვის შესაფერისი არეალების აღწერითა და დახმარებისთვის გამიზნული კომპენსაციების ფინანსური ინფორმაციის თანდართვით უნდა გაეგზავნოს დაინტერესებულ საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებს, როგორც საპროგრამო წინადადება გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ. აღნიშნული პროგრამა უნდა განხორციელდეს მიგრაციის სამოქალაქო საზოგადოების კოალიციასთან უშუალო თანამშრომლობის ბაზაზე ოპტიმალური შედეგების მიღების უზრუნველსაყოფად. თანამშრომლობის ამ მოდელმა უნდა შექმნას გარკვეული გამოცდილება, რაც საფუძვლად დაედება ეკომიგრაციის პრობლემების გადაჭრისთვის საჭირო გრძელვადიანი სტრატეგიის ჩამოყალიბებას.

*ეკოლოგიური მიგრაციის სტრატეგიის შემუშავება*

მიგრაციის უწყებათაშორისი კომისიის ბაზაზე შექმნილი ეკო-მიგრაციის სამუშაო ჯგუფი თავს მოუყრის სხვადასხვა უწყების - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა, ფინანსთა, ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის, სოფლის მეურნეობისა და სხვა შესაბამისი სამინისტროების მაღალჩინოსნებს და სამოქალაქო საზოგადოებასთან რეგულარულად გამართული კონსულტაციების გზით, მეთვალყურეობას გაუწევს ეკოლოგიური მიგრაციის გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავების პროცესებს.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, მიგრაციის სამოქალაქო საზოგადოების კოალიციის, ეკო-მიგრანტთა ერთობისა და განსახლების არეალების მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენლების ჩათვლით, ჩართულნი უნდა იყვნენ სტრატეგიის ჩამოყალიბების პროცესში. ეფექტური პოლიტიკის ჩამოყალიბების დროს მნიშვნელოვანი დატვირთვა ფორმალური კონსულტაციების ჩატარებას ენიჭება მისი

შემუშავების სხვადასხვა ეტაპზე როგორც საწყის, ასევე დასრულების ფაზაში.

გარდა ამისა, ცენტრალურმა მთავრობამ ეროვნულ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით ( ჩდ, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის, ევროპის საბჭოს და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების ჩათვლით) ასევე სხვადასხვა დონორ ორგანიზაციასთან მუშაობით, უნდა მოიპოვოს როგორც ფინანსური, ასევე ინფორმაციული მხარდაჭერა ეკო-მიგრაციის გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავებისა და მისი თანმიმდევრული განხორციელებისათვის.

სტრატეგიის შემუშავების დროს მიმდინარე სიტუაციისა და ეკოლოგიური მიგრანტების მოთხოვნილებათა შესწავლა მნიშვნელოვან ქვაკუთხედს წარმოადგენს, მეტიც, განსახლებისთვის შესაფერისი პოტენციური სამიზნე არეალის მკვიდრი მოსახლეობის შესწავლა და მათთან ჩასახლებაზე წინასწარი კონსულტაციების ჩატარება აუცილებელია. გარემო პირობები, ეკონომიკური მდგომარეობა, ეთნიკური და დემოგრაფიული ფაქტორები და კულტურული განსხვავებები ის მნიშვნელოვანი საკითხებია, რამაც ახალმოსახლეთა წარმატებული ადაპტაცია და ინტეგრაცია უნდა განაპირობოს.

სტრატეგიაში უნდა შევიდეს შემდეგი ტიპის განსხვავებული, თუმცა ურთიერთდაკავშირებული ელემენტები:

*სამოქმედო გეგმა საგანგებო მდგომარეობისთვის*

ცენტრალური და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ესაჭიროებათ განსაკუთრებული სტრატეგია უცაბედი სტიქიური მოვლენის პირობებში სამოქმედოდ. აუცილებლობას წარმოადგენს ასეთი სამოქმედო გეგმის შემუშავება, რამაც უნდა განაპირობოს სწრაფი რეაგირება სტიქიით დაზარალებულ პირთა პირველადი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. დროებითი თავშესაფარი დროებითი საცხოვრებლის სახით, შესაძლოა, აშენდეს დაბლობ არეალში; უნდა შეიქმნას სპეციალური სარეზერვო ფონდი დაზარალებულთა სამედიცინო და ჰუმანიტარული დახმარებისათვის.



*განსახლების დახმარების პროგრამა*

დახმარების პროგრამა ყველაზე რთულ პერიოდში ეკოლოგიურ მიგრანტებს უნდა დაეხმაროს იმისათვის, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ, მათ დახმარების გარეშე განაგრძონ არსებობა. ეკო-მიგრანტების განსახლების მომენტისათვის წახალისების სახით მატერიალური დახმარება უნდა დაურიგდეთ, ვინაიდან ახალი ცხოვრების დაწყება მათთვის უცნობ გარემოში საკმაოდ რთულ პროცესს წარმოადგენს, თუკი ამას სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობა არ სდევს თან. საქართველოში ეკოლოგიური თუ შიდა სამხედრო დაპირისპირების შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირთა გამოცდილება მეტყველებს იმაზე, რომ თუნდაც 10, 15 ან 20 წლის გასვლის შემდეგ ახალ ადგილებში ჩასახლებული ხალხი ძნელად თუ გადის ადაპტაციას იქ სადაც თავიდანვე დასახლდნენ და სადაც დღემე უწევთ ცხოვრება. იძულებით გადაადგილებული მოსახლეობა საქართველოში საზოგადოების კვლავაც ყველაზე ღარიბ სეგმენტად რჩება.

*ინტეგრირების პროგრამა*

ინტეგრირების პროგრამამ სოციო-ეკონომიკური, კულტურული და საგანმანათლებლო ინტეგრაციის ყველა ასპექტი უნდა მოიცავს. აღნიშნულმა პროგრამამ ასევე განსახლების არეალებში მცხოვრები მკვიდრი მოსახლეობის მახასიათებლებსაც უნდა მიაქციოს ყურადღება და განსახლებისთვის შესაფერისი ახალი არეალების შერჩევის დროს სისტემატიური შეფასებებისა და კონსულტაციების ჩატარების პრაქტიკა უნდა დანერგოს.

*1987 წლიდან ჩასახლებული ეკო-მიგრანტებისთვის ხელშეწყობის პროგრამა*

აღნიშნული პროგრამა მიმართული უნდა იყოს იმ ეკო-მიგრანტების დახმარებაზე, ვისაც კვლავ როგორც საცხოვრებელი სახლების, ასევე მიწის ნაკვეთების

საკუთრებაში გაფორმებისა და სხვა სახის მიმდინარე პრობლემები აქვთ.

**IX. დასკვნა**

საქართველოში ეკომიგრაცია საკმაოდ მტკივნეულ საკითხთა კატეგორიას განეკუთვნება, ვინაიდან დაახლოებით 11 ათასი ოჯახი სასწრაფოდ საჭიროებს საცხოვრებელი პირობებით დაკმაყოფილებას და უფრო მეტს საცხოვრებელი სახლ-კარის დაზიანების გამო გაუსაძლის პირობებში უხდება ყოფნა ან მომავალში სტიქიური უბედურების მოლოდინში მუდმივი შიშის ქვეშ უწევს ცხოვრება. ქვეყნის მთავრობამ მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს ეკოლოგიურ მიგრაციას და ეკო-მიგრანტების განსახლების სტრუქტურული პროგრამების ჩამოსაყალიბებლად როგორც საერთაშორისო აქტორებთან, ასევე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან ითანამშრომლოს.

სახელმწიფოს მიერ ეკო-მიგრანტების უფლებათა დაცვისთვის საჭირო მკაფიო იურიდიული ბაზის შექმნა მდგრადი ეკომიგრაციის პოლიტიკისთვის საჭირო მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს. ეკომიგრაციისა და განსახლების მიმართ უფრო სისტემური და გამჭვირვალე მიდგომის ჩამოყალიბება, რისი განხორციელებაც როგორც ცენტრალური მთავრობის, ასევე მუნიციპალური ადმინისტრაციის დონეზე თანმიმდევრულად შეიძლება, ერთი მხრივ, საშუალებას მისცემს მთავრობას, თავიდან აიცილოს სოციალური კრიზისი და გრძელვადიან პერსპექტივაში შეამციროს ფინანსური ხარჯები, ხოლო, მეორე მხრივ, ხელი შეუწყოს ინტეგრაციისა და განვითარების პროცესების წარმართვას ქვეყნის მასშტაბით. მთავრობამ როგორც საერთაშორისო აქტორებთან, ასევე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან თანამშრომლობით უნდა შეიმუშაოს და პრაქტიკაში განახორციელოს როგორც მოკლევადიანი პროგრამა გადაუდებელი ღონისძიებების ჩასატარებლად, ასევე გრძელვადიანი სტრატეგია ეკოლოგიური მიგრაციის შესახებ. ზემოხსენებული ზომების გატარება მომავალში შეამცირებს ეკო-მიგრანტთა საჭიროებებს და გაზრდის მთავრობის პროტენციას, დაიცვას სტაბილურობა და უსაფრთხოება ქვეყნის მასშტაბით.



შემდგომი ინფორმაციისთვის იხილეთ:

EUROPEAN CENTRE FOR MINORITY ISSUES (ECMI)

Schiffbruecke 12 (Kompagnietor) D-24939 Flensburg

☎ +49-(0)461-14 14 9-0 \* fax +49-(0)461-14 14 9-19

\* E-Mail: [info@ecmi.de](mailto:info@ecmi.de) \* Internet: <http://www.ecmi.de>